March 2022 (№21)
Volume 8; Issue 1; Page No. 136-158
ISSN: 2346-7916 (Print)
ISSN: 2587-5043 (Online)

INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: "LAW AND WORLD" www.lawandworld.ge

https://doi.org/10.36475/8.1.8 Licensed under: CC BY-SA

The Role of the Individual Assessment Report in Determining the Best Interest of a Juvenile Before Sentencing

(Case law Analysis)

Salome Guliashvili
PhD Student of Caucasus International University School of Law

ARTICLE INFO

Article History:

Received 31.01.2022
Accepted 01.03.2022
Published 31.03.2022

Keywords:

Principle,
Suitability,
Sentence

ABSTRACT

The importance of the scientific paper is due to the combined theoretical and practical analysis of the norm-principles of juvenile justice and the report of individual evaluation; in particular, the study of case law. The research uses the method of analysis and comparison, the method of logical reasoning and reasoning, the method of studying and generalizing specific criminal cases and established judgments.

The structure of the paper is a kind of chain that is logically related to each other, which is consequently reflected in the sentencing of a judge. In particular, it analyzes what is meant and how to prioritize the best interest before the judge imposes a sentence, then logically links it to the principle of individual approach to the juvenile, which is also inherent in juvenile justice and the principle of best interest priority. These norms find practical viability in an individual assessment report, in particular, the paper discusses in detail what issues a social worker will explore before sentencing a juvenile.

An individual assessment report within juvenile justice is the basis for a combination of outlining principles and making decisions tailored to the best interests of the juvenile. After taking into account a number of circumstances analyzed in the individual assessment report, the judge will have a clear idea of what will be the best decision for the juvenile to re-socialize-rehabilitate.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის როლი არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნამდე მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისათვის (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)

სალომე გულიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი

საკვანძო სიტყვები: პრინციპი, მისადაგება, სასჯელი

შესავალი

ქართულ იუვენალურ ისტორიაში 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ „ახალი ერის" დასაწყისად. აღნიშნულმა კოდექსმა სისტემურად გააერთიანა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მატერიალური და პროცესუალური საკითხები. ამასთან, დანერგა მთელი რიგი ახალი საკანონმდებლო სიახლე, რითაც იუვენალური იუსტიციის კანონმდებლობის ჰარმონიზაციას დაედო საფუძველი; იუვენალურ სიახლეთაგან, პირველ რიგში, უნდა მოვიაზროთ საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპთა პრინციპად განსაზღვრა, როგორც პირველ რიგში განსახილველი გარემოება არასრულწლოვნის კეთილდღეობისათვის,[1] რაც უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვნის სპეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.[2] საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა მჭიდრო კავშირშია არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალურ მიდგომასთან, რაც პრინციპის დონეზეა გაწერილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში,[3] რომლის თანახმადაც არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა აუცილებელია ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. მათ შორის, მოსამართლის მიერ არასრულწლოვნისათვის სასჯელის შეფარდებამდე, რისი აუცილებლობის მაჩვენებელიცაა კანონმდებლის მიერ დანერგილი ახალი ინსტიტუტი – ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რომლის მომზადებაც აუცილებელია მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნამდე. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით ხდება არასრულწლოვანთა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება, თავის მხრივ, ინდივიდუალური მახასიათებლებით განი-

1 ECHR, Blokhin v. Russia, no.47152/06, 23.03.2016, §134.

2 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი" პროექტზე. <https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

3 *იქვე.*

საზღვრება საუკეთესო ინტერესი, რაც არის მიზანი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა.[4]

მოსამართლის მიერ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის შეფარდებამდე მხედველობაშია მისაღები მთელი რიგი საკითხები, რომელიც მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსსა და საერთაშორისო აქტებში, რომელთა კუმულაციურად გაანალიზების შემდეგაც განისაზღვრება სამართლიანი და კანონიერი სასჯელი. უფრო კონკრეტულად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.[5] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მისი მისწრაფება აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.[6] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის ასაკს, პიროვნებას, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს.[7]

ნაშრომის მიზანია, გააანალიზოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის პრაქტიკული და თეორიული ასპექტები, სასამართლო პრაქტიკის ანალიზით აჩვენოს თუ როგორ ფორმირდება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ასახულ უნდა იქნეს მოსამართლის განაჩენში.

1. საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის არსი

საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპთა პრინციპი. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.[8] იგი შინაარსობრივად მრავლისმომცველი და კომპლექსურია, აქედან გამომდინარე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მეოთხე ნაწილი ამომწურავად არ/ვერ ჩამოთვლის თუ რა იგულისხმება აღნიშნულ პრინციპში და მის განმარტებას სამართალშემფარდებელს ანდობს.[9] არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს მრავალფუნქციური შინაარსი გააჩნია, კერძოდ: 1) პირველ რიგში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრიორიტეტული პრინციპია; 2) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი მიზანი არასრულწლოვნის საკეთესო ინტერესების დაცვაა; 3) არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არასრულწლოვნის საუკეთესი ინტერესებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.[10]ამრიგად, მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდებამდე არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გაანალიზება უმნიშვნელოვანესია. სასჯელი უნდა იყოს არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები უარყოფითი

4 *იქვე.*

5 საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=141> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022]

6 *იქვე.*

7 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022]

8 *იქვე.*

9 ვარძელაშვილი, ი. 2017. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, (1), 71.

10 *იქვე*, 72.

გავლენის მომხდენი.[11] ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს N14 ზოგადი კომენტარის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეებში საუკეთესო ინტერესების პრინციპი ვრცელდება კანონთან კონფლიქტში მყოფ ყველა ბავშვზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ტრადიციული ამოცანები, როგორიცაა რეპრესია ან დასჯა, ნაკლებ პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ამოცანები.[12] ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილება მიზნად ისახავდეს ბავშვის ქეშმარიტი და საუკეთესო ინტერესის დაცვას.[13] სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, რომ სასჯელის შესაბამისი სახის გათვალისწინებისას მხედველობაში მიიღოს ბავშვის ჯანმრთელობა, განათლება, ეკონომიკური ექსპლუატაცია, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების ფაქტორები.[14] არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებისას ზემოქმედების ზომები უნდა იყოს თანაზომადი, არა მარტო ჩადენილი ქმედების გარემოებებთან, არამედ არასრულწლოვნის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებთან.[15] არასრულწლოვნისადმი მკაცრი სადამსჯელო მიდგომა არ შეესაბამება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითად პრინიციპებს, ბავშვის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მისი კეთილდღეობის, ქეშმარიტი ინტერესების დაცვის და რეინტეგრაციის საჭიროებას.[16] „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებასაც, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს არასრულწლოვნისათვის შეფარდებულ სასჯელს.[17] ბავშვების შემთხვევაში მათი კეთილდღეობისა და ქეშმარიტი ინტერესების დაცვასა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის საჭიროებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს.[18]

2. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის ფორმულირება

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრინციპია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, რაც ასახულია, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა აქტებში.[19] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.[20] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების

11 UNODC, 2009. Handbook for Professionals and Policymakers on Justice in matters involving child victims and witnesses of crime, United nations office on drugs and crime Vienna, 6.

12 ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს N14 ზოგადი კომენტარი. <https://www.refworld.org/pdfid/4538838d0.pdf> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

13 კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

14 *იქვე.*

15 United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"). <https://www.ohchr.org/documents/professionalinterest/beijingrules.pdfn> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

16 კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

17 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე. <https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/06/file0012.pdf> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

18 General comment No. 10 2007 Children's rights in juvenile justice. <file:///C:/Users/SALOME/Downloads/CRC_C_GC_10-EN.pdf> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

19 კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022]. საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

20 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21> [ბოლო

კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, ეს ინდივიდუალური მახასიათებლები გაითვალისწინება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე.[21] ინდივიდუალური მიდგომის ასახვის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდება. „სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლას, რაც ხელს უწყობს მოსამართლეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ობიექტური სასჯელის შეფარდებაში".[22]

3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, როგორც საუკეთესო ინტერესების იდენტიფიცირებისა და არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომის ფორმირების გზა

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის გამოკვეთის საშუალებაა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის სამართლებრივი მნიშვნელობა განსაკუთრებით მძაფრია სასჯელის დანიშვნის ეტაპზე, რადგანაც იგი მოითხოვს არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების ანალიზსა და მის გათვალისწინებას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შესაბამისად, რამაც ლომის წვლილი უნდა ითამაშოს იმაში, რომ არასრულწლოვნისადმი გამოყენებული სასჯელი სიცოცხლისუნარიანი იყოს პრაქტიკაში.[23] საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის პრინციპი არის უმთავრესი გზა იმისათვის, რომ გადასაწყვეტი საკითხი არასრულწლოვნის კეთილდღეობას შეესაბამებოდეს.[24] საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა მოითხოვს მოსამართლემ გაანალიზოს თუ რა ეფექტს მოახდენს სასჯელი არასრულწლოვნის განვითარებასა და კეთილდღეობაზე. „საუკეთესო ინტერესის" განსაზღვრა კომპლექსური პროცესია.[25] არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც განაჩენი მოახდენს მის განვითარებასა და კეთილდრეობაზე, ამასთან, რეკომენდებულია, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა მოუსმინოს ბავშვის პოზიციას, რაც იქნება საფუძველი ყველაზე საუკეთესო ინტერესის დასადგენად.[26]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულია შემდეგ შემთხვევებში: განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.[27] ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელარსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 მარტის N132/N95/N23 ერთობლივი ბრძანებით.[28] აღნიშნული

წვდომა: 31 იანვარი 2022].

21 *იქვე.*

22 საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23 2016 წლის 15 მარტის ბრძანება, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3193208?publication=0> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

23 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი (საქმე №1/226-2019).

24 Council of Europe, 2019. Promoting Child-friendly approaches in the area of Migration, Standars, Guidance and current practices, 74-77.

25 United nations office on drugs and crime, 2013. Justice in Matters involving children in conflict with the law, Model law on juvenile justice and related commentary, 70.

26 ჰამილტონი, ქ. 2011. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 35.

27 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

28 საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ერთო-

ბრძანების N2 დანართი ეხება სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენას, რაც მიზნად ისახავს არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლას, რაც ხელს უწყობს მოსამართლეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ობიექტური სასჯელი შეუფარდოს არასრულწლოვანს.[29] სასჯელის სწორად შეფარდება უმნიშვნელოვანესია მსჯავრდებულის უფლებების დაცვის თვალსაზრისით;[30] სასჯელის შეფარდებისას მოსამართლე არამხოლოდ კონკრეტული მუხლის სანქციის ფარგლებითაა შებოჭილი, არამედ აგრეთვე კონსტიტუციური პრინციპებითაც.[31]

4. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში – მოსამართლის მიერ არასრულწლოვნისათვის სასჯელის შეფარდებამდე გასათვალისწინებელი ინსტიტუტი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება,[32] ხოლო 75-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.[33] სოციალური მუშაკი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს არასრულწლოვანთან, მის ოჯახის წევრებთან და მასთან დაკავშირებული სოციალური გარემოს სხვა წარმომადგენლებთან ინტერვიუების მეშვეობით.[34] ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობა იდენტიფიცირდება მრავალი გარემოების შესწავლითა და ერთობლივად გაანალიზების შემდეგომ, რაც არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და შემდგომ ამისა საუკეთესო ინტერესის განსაზღვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამასთან მნიშვნელოვანი ის დადებითი ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აუცილებელია, კერძოდ, ესენია: ინდივიდუალური ფაქტორები (განათლება/არაფორმალური განათლება/მუშაობის გამოცდილება; ჰყავს რამდენიმე მეგობარი, რომლებიც არ არიან ჩართულნი დანაშაულებრივ საქმიანობაში; კონსტრუქციული ინტერესების არსებობა, ჰობი, ოპტიმისტური და მომავლის პოზიტიური ხედვა, მართლსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციის მოტივაცია და გეგმა, სასარგებლო უნარები, ნიჭი, შემოქმედებითობა, სტრესის დაძლევის უნარ-ჩვევები, საშუალოზე მაღალი ინტელექტი, რელიგიურობა და ა.შ.); ოჯახური ფაქტორები (ძლიერი და სტაბილური ურთიერთობები ერთ მშობელთან ან ოჯახის წევრთან, მზურველ(ებ)ისთვის ფასეულია არასრულწლოვნის განათლება/დასაქმება, მზრუნველ(ებ)ი წარმოადგენენ პროსოციალურო ქცევებისა და ნორმების მოდელს, სახარბიელო ოჯახური გარემო და ურთიერთობები, ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებელი პირობები და ა.შ.) საზოგადოებრივი ფაქტორები (პროფესიული დახმარების და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა, არასრულწლოვნის კეთილდღეობაზე ზრუნავს სკოლა/საგანმა-

ბლივი ბრძანება №132/№95/№23 2016 წლის 15 მარტის ბრძანება, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3193208?publication=0> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

29 *იქვე.*

30 ცქიტიშვილი, თ. 2016. სასჯელის შეფარდების საკითხისათვის, გურამ ნაჭყებიას – 75 საიუბილეო კრებული, თბილისი. მერიდიანი, 122.

31 *იქვე*, 123.

32 საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=21> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

33 *იქვე.*

34 საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23 2016 წლის 15 მარტის ბრძანება, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3193208?publication=0> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

ნათლებლო დაწესებულება, სტაბილური პოზიტიური ურთიერთობები უფროსთან, რომელიც არ არის ოჯახის წევრი, ძლიერი თანადგომის ქსელი, საზოგადოება ახალგაზრდას სთავაზობს რაიმე აქტივობაში ჩაბმის საშუალებებს: ახალგაზრდული ცენტრი, სპორტული კლუბი, კულტურული მოღვაწეობა და ა.შ.).[35] ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში გათვალისწინებულია არასრულწლოვნისთვის საჭირო სერვისები/რესურსები რეციდივის პრევენციისთვის, რაც ყველაზე მეტად აჩვენებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, კერძოდ, ესენია: დახმარება საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებაში, დახმარება ბენეფიტების მოპოვებაში, ფსიქოსოციალური დახმარება, აკადემიური დახმარება, პროფესიული დახმარება, ადიქტური ქცევის შემცირებაზე მიმართული სერვისი, რისხვის მართვა/იმპულსთა მართვა, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების შესწავლა, სოციალური უნარების განვითარება, სამედიცინო დახმარება, ინდივიდუალური და ოჯახური ფსიქოთერაპია, ფსიქიატრიული დახმარება და ა.შ.[36]

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, განაჩენის გამოტანისას სასამართლოები სრულად ითვალისწინებენ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. სასამართლოები ყურადღებას აქცევენ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში ასახულ დადებით და უარყოფით ფაქტორებს.[37]

არასრულწლოვანს უნდა დაენიშნოს სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რაც გახდება საფუძველი მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციისა და იქნება დამაფიქრებელი ბრალდებულისათვის, რათა მან უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროებისა და გასაკიცხაობის ხარისხი, გამოწვეული შედეგის სიმძიმე და ბოლოს, უნდა შეამციროს ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი.[38]

35 საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23 2016 წლის 15 მარტის ბრძანება, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3193208?publication=0> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022].

36 *იქვე.*

37 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 6 აგვისტოს განაჩენი (საქმე №338ა3-20); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის განჩინება (საქმე № 220ა3-21); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 29 ივნისის განჩინება (საქმე №84ა3-21); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 30 მარტის განჩინება (საქმე №164ა3-19); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 29 მარტის განჩინება (საქმე №275ა3-19); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 11 მაისის განაჩენი (საქმე №862ა3-19); ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 17 თებერვლის განაჩენი (საქმე №1/511-19); თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 3 თებერვლის განაჩენი (საქმე №1/4838-19); თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 დეკემბრის განაჩენი (საქმე №1ბ/1947-19); ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 15 ნოემბრის განაჩენი (საქმე №1/ბ-629); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 3 ივლისის განაჩენი (საქმე №35ა3-19); ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი (საქმე №1/ბ-496); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 13 თებერვლის განაჩენი (საქმე №486ა3-18); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 10 დეკემბრის განაჩენი (საქმე №379ა3-18); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1 ივნისის განჩინება (საქმე №710ა3-17); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 ივნისის განჩინება (საქმე №3ა3-17); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 29 ივლისის განჩინება (საქმე №338ა3-16); საჩხერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 16 მაისის განაჩენი (საქმე №1/45 – 2018); ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის განაჩენი (საქმე №1/ბ-240-2018); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განაჩენი (საქმე №617ა3-18); რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 ოქტომბრის განაჩენი (საქმე №1-583-18); თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 10 ოქტომბრის განაჩენი (საქმე №1ბ/976-18); საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი (საქმე №305ა3-19); ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 26 თებერვლის განაჩენი (საქმე №1/ბ-824-2018).

38 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის განაჩენი (საქმე №1/928-19).

4.1. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შინაარსობრივი ანალიზი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

4.1.1. არასრულწლოვნის ზოგადი ინფორმაცია

არასრულწლოვნის ზოგადი ინფორმაცია გულისხმობს მის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ამასთან, არის თუ არა სკოლის მოსწავლე, ეთნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, არასრულწლოვნის აწმყო საცხოვრებელ გარემოს და ასე შემდეგ;[39] სასამართლო პრაქტიკაში მრავლადაა მითითება პიროვნების მაიდენტიფიცირებელ გარემოებებზე, მაგალითისათვის, ერთ-ერთ განაჩენში მითითებულია, არასრულწლოვნის ოჯახური გარემო დადებითია, ცხოვრობს მშობლებთან ერთად, რომელთა მიმართ ამჟღავნებს პატივისცემას და ნდობას.[40] განაჩენში ვკითხულობთ, რომ საცხოვრებლი გარემო მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის სოციალური მდგომარეობის შესაფასებლად, ამ კონკრეტულ საქმეში ბავშვის საცხოვრებელი ფართი არ არის საკმარისი ოჯახის წევრებისათვის, თუმცაღა საცხოვრებელში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ოჯახში განლაგებულია საჭირო ინვენტარი, ამასთან ოჯახი დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და იღებენ შესაბამის დახმარებას. ოჯახის ფინანსური შემოსავალი არის მწირი. ბრალდებულის დედის გადმოცემით არასრულწლოვნის მამა ვერ აცნობიერებს შვილების წინაშე არსებულ საჭიროებებს, არ იღებს მონაწილეობას შვილების აღზრდის პროცესში.[41]

4.1.2. ინფორმაცია არასრულწლოვნის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ

ინფორმაცია არასრულწლოვნის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ გულისხმობს მიმდინარე ჩადენილი ქმედების მოკლე აღწერილობას, არასრულწლოვნის ასაკზე მითითებას ქმედების განხორციელების მომენტში, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის გამოცდილებას, მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დინამიკას, დამოკიდებულებას მიმდინარე ჩადენილი ქმედების მიმართ, ქმედების პრევენციის შესაძლებლობას არასრულწლოვნის მხრიდან;[42] განაჩენში ვკითხულობთ, რომ არასრულწლოვნის დაუსჯელობის მოლოდინი, დელიქვენტური ქცევის მქონე სამეგობრო წრე და მშობლების მხრიდან არასათანადო კონტროლის განხორციელება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის მიერ ერთი და იმავე სახისა და ხასიათის დანაშაულების სისტემატურად ჩადენას.[43]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში გამოკვეთილია, რომ დანაშაულის იარაღია – დანა, რაც მოზარდს სჭირდებოდა პროფესიული საქმიანობის მიზნით და სამუშაო ტანსაცმლის ჯიბეში ედო დანაშაულის ჩადენის მომენტში;[44]

მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვნის მიერ დანაშაულებრივ ქმედებებზე საუბრისას სინანულის გამოხატვას, განაჩენში მითითებულია, რომ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ სინანულის ძირითადი მიზეზია დანაშაულებრივი ქმედების შემდგომი პროცესების სირთულეები.[45] არასრულწლოვანი ნაწილობრივ აღიარებს და განიცდის მომხდარ

39 საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23 2016 წლის 15 მარტის ბრძანება, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3193208?publication=0> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022]

40 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 26 ივლისის განჩინება (საქმე №251აპ-16).

41 საქართველოს უზენაესის სასამართლოს 2020 წლის 6 აგვისტოს განაჩენი საქმე №338აპ-20.

42 საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23 2016 წლის 15 მარტის ბრძანება, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3193208?publication=0> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022]

43 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის განაჩენი (საქმე №1/928-19).

44 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 აპრილის განჩინება (საქმე №595აპ-17).

45 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი (საქმე №1/83-2018).

ფაქტს, ემპათიას გამოხატავს დაზარალებული მხარის ოჯახისა და ახლობლების მიმართ, მათ წინაშე თავს გრძნობს დამნაშავედ. გამოხატავს მზაობას მიიღოს პროფესიული განათლება, რაც დასაქმებაში დაეხმარება.[46] ნანობს წარსულში ჩადენილ თავის ქმედებებს და განმარტავს, რომ აღნიშნული დაკავშირებული იყო მის ასაკთან, ვინაიდან უჭირდა ქმედების შესაძლო შედეგების გაანალიზება. ამასთან, მის მიერ განზრახულად არ მომხდარა პოლიციისადმი წინააღმდეგობა, არამედ ეს იყო თავდაცვის მიზნით გამოწვეული.[47]

დადებით მომენტად ფასდება მოსამართლის მხრიდან, როდესაც არასრულწლოვანს სრულად აქვს გააზრებული მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა და ის მომავალში დაინტერესებულია კარიერული წინსვლით.[48]არასრულწლოვანი იაზრებს დაზარალებულის, საკუთარი თავისა და ოჯახისადმი მიყენებულ ზიანს. დაზარალებულის მიმართ გამოხატავს ემპათიას. აცნობიერებს, რომ მის მიერ გამოყენებული ძალადობა დაუშვებელია და თვლის, რომ საუბრით უნდა მოგვარდეს პრობლემური შემთხვევა. წარსულში არასდროს ჰქონია კონფლიქტური ურთიერთობები, არსებულ გაუგებრობებს ყოველთვის საუბრით და განხილვის საშუალებით არეგულირებდა.[49]

დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი ფაქტორების მითითება ნათელ წარმოდგენას ქმნის არასრულწლოვანის პიროვნებაზე, მაგალითისათვის, განაჩენში ვკითხულობთ, რომ არასრულწლოვნის გარშემომყოფებს ძლიერი ფინანსური შესაძლებლობა აქვთ, ხოლო თავად მის ოჯახში ეკონომიკური პრობლემებია, სწორედ ეს იყო მის მიერ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი, რომ თანხა იოლი გზით ეშოვნა საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით.[50]არასრულწლოვნის მშობლები ფიზიკურად შრომობდნენ ყოველდღიურად, თუმცა არ აქვთ შრომის შესაბამისი ადეკვატური შემოსავალი. მან რამდენჯერმე სცადა მუშაობა, თუმცა გამომუშავებული თანხის სიმწირის გამო გადაწყვიტა დელიქვენტური ქმედების განხორციელების გზით მოეპოვებინა თანხა და მხარდაჭერა აღმოეჩინა ოჯახის წევრებისათვის.[51] მის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების მთავარი განმაპირობებელი მიზეზი ოჯახში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. მას არ ჰქონდა საკმარისი თანხა შეეძინა ტანისამოსი, ასევე მეგობრისთვის ეყიდა საჩუქარი, ამჟამად ნანობს მიერ მიერ ჩადენილ ქმედებას.[52]

მხედველობაშია მისაღები უარყოფითი ფაქტორიც, კერძოდ, მართალია არასრულწლოვანი აღიარებს ჩადენილ ქმედებას, მაგრამ უჭირს მომხდარში საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, აქცენტს აკეთებს მხოლოდ საკუთარ ზარალზე და მიაჩნია, რომ ამ სიტუაციაში უფრო მეტად თვითონ და მისი ოჯახის წევრები დაზარალდნენ და უჭირს გაიაზროს ზიანი, რომელიც სხვას მიადგა მისი ქცევის შედეგად.[53] ის აღიარებს მის მიერ ჩადენილ ქმედებას, თუმცა შეფასებისას მისი მხრიდან არ იქნა გამოვლენილი პასუხისმგებლობა და ემპათიური დამოკიდებულება დაზარალებულის მიმართ. თუმცაღა, მიიჩნევს, რომ დაწესებულების დატოვების შემდეგ ის დანაშაულს არ ჩაიდენს, შეისწავლის პროფესიას და შეეცდება მიღებული ცოდნით რეალიზებას.[54]

4.1.3. არასრულწლოვნის ოჯახი და საცხოვრებელი პირობები

არასრულწლოვნის ოჯახისა და საცხოვრებელი პირობების გაანალიზებისას უნდა აღინიშნოს არასრულწლოვანს აქვს თუ არა მუდმივი საცხოვრებელი გარემო, კეთილსაიმედოა თუ არა საცხოვრებელი გარემო, აქვს თუ არა ოჯახს სტაბილური შემოსავალი, დაკ-

46 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის განჩინება (საქმე №656ა3-17).

47 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 6 აგვისტოს განაჩენი (საქმე №338ა3-20).

48 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის განაჩენი (საქმე №1-23/19).

49 მცხეთის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 12 სექტემბრის განაჩენი (საქმე №1/167-19).

50 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 3 ივლისის განაჩენი (საქმე №2კ-35ა3.-19).

51 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 ივლისის განაჩენი (საქმე №1/354-18).

52 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 თებერვლის განაჩენი (საქმე №1/1116-18)

53 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინება (საქმე №201ა3-17).

54 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 აპრილის განაჩენი (საქმე №1/267-19).

მაყოფილებულია თუ არა ბავშვის ბაზისური საჭიროებები, ხომ არ ხდება ოჯახში ძალადობა, ოჯახის წევრები ხომ არ არიან ნარკო/ალკო დამოკიდებულები, ოჯახის წევრებს ხომ არ აქვთ ქრონიკული დაავადებები, ოჯახის წევრის ნასამართლობის ისტორია, ოჯახის წევრთა რაოდენობა, ოჯახის წევრებს შორის ემოციური ურთიერთობის მდგომარეობა, არასრულწლოვანს ხომ არ ჰყავს მეუღლე ან/და შვილი, საცხოვრებელი გარემო კრიმინოგენურ უბანში ხომ არაა განთავსებული და ა. შ.[55]

განაჩენში ვკითხულობთ, რომ დადებით ფაქტორად ფასდება შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანს აქვს კარგი ეკონომიკური პირობები ოჯახში. უარყოფით გარემოებად აღიქმება მისი ემოციური კავშირის ოჯახთან შესუსტება, მისი დაძაბული ურთიერთობა ოჯახის წევრებთან.[56]

განაჩენში ვკითხულობთ, რომ არასრულწლოვანს ჰყავს ოჯახი, რომელიც ცდილობს მისთვის იყოს მხარდამჭერი, თუმცა მათი მხარდაჭერა ძირითადად მისი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის დროს ფინანსურ მხარდაჭერაში იკვეთება, მშობლები ვერ არხერხებენ მასზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას ან დელიქვენტური ქცევის მეგობრული კავშირების შეზღუდვას. მშობლებმა არ იციან შვილის სურვილები და ინტერესები, რომლებიც შვილთან დაკავშირებული მომავლის დაგეგმვაში დაეხმარებათ.[57]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მიხედვით, არასრულწლოვნის მშობლები ათი წელია არიან საზღვარგარეთ, მასზე ბებია და ბაბუა ზრუნავენ. არასრულწლოვანი ცხოვრობს სოფელში, მამათა მონასტერში, საიდანაც დადის სკოლაში განათლების მისაღებად. ოჯახის წევრები ერთმანეთის მიმართ დადებითი და მზრუნველობითი ურთიერთოებებით გამოირჩევნიან. მოზარდს აქვს სტრესის დაძლევის დადებითი უნარ-ჩვევები, განათლების მიღების სურვილი, სპორტისადმი სიყვარული, შრომისმოყვარეობა, აქვს მომავლის პოზიტიური ხედვა. არის კარგი ყოფაქცევის.[58]

განაჩენში ვკითხულობთ, რომ არასრულწლოვნის ოჯახური პირობები, როგორც მატერიალური, ისე მორალური მხარე არის არადამაკმაყოფილებელი, მას არ ჰყავს ძლიერი მხარდამჭერი, იგი იყო ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მამის და მამინაცვალის მხრიდან. ამ ეტაპზე მას ჰყავს მეგობარი გოგონა, რომლისგანაც შეეძინა შვილი და მას გაუჩნდა მოტივაცია, რომ უკეთესობისაკენ შეცვალოს თავისი ცხოვრება, სურს აღზარდოს თავისი შვილი და იზრუნოს მასზე. აპირებს შვილთან და მეგობარ გოგონასთან ერთად იცხოვროს. თუმცაღა, არასრულწლოვანს ამ ეტაპზე არ აქვს რესურსი, რათა უზრუნველყოს შვილის შესაბამისი საჭიროების დაკმაყოფილება და ოჯახის მწირი ფინანსური რესურსი, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სარისკო გარემოებას წარმოადგენს. დამცავი ფაქტორია მისი პოზიტიური დამოკიდებულება გარშემომყოფების მიმართ და დიდი სურვილი დაიწყოს პატიოსანი ცხოვრება.[59] მომეტებულ პასუხისმგებლობად მიიჩნევა ის, რომ არასრულწლოვანს ჰყავს მცირეწლოვანი შვილი.[60]

არასრულწლოვანს სურვილი აქვს ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი და ოჯახს უკეთესი სოციალური მდგომარეობა შეუქმნას. ამ ეტაპზე, მისი საცხოვრებელი პირობები არაკეთილსაიმედოა. მას აღენიშნება გონებრივი განვითარების შეფერხება და მისი აზროვნება არ შეესაბამება ასაკობრივ ნორმებს. მას კარგი ურთიერთობა აქვს მეზობლებთან, რომლებიც მის მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. მას უყვარს როდესაც რაიმე საქმით არის დაკავებული.[61]

უარყოფითი ფაქტორი არის განქორწინებული მშობლები, რომლებსაც ერთმანეთთან

55 საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ერთობლივი ბრძანება №132/№95/№23 2016 წლის 15 მარტის ბრძანება, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3193208?publication=0> [ბოლო წვდომა: 31 იანვარი 2022]

56 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის განაჩენი (საქმე №1/35-18).

57 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 სექტემბრის განაჩენი (საქმე №1/447-18).

58 ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 12 მაისის განაჩენი (საქმე №595ა3-18).

59 გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 19 მარტის განაჩენი (საქმე №1/332-17).

60 ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 6 მარტის განაჩენი (საქმე №1/271-18).

61 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 23 იანვრის განჩინება (საქმე №491ა3-17).

არ აქვთ პოზიტიური ურთიერთობა, ასევე როგორც სოციალურ მუშაკთან საუბარში აღნიშნავენ არასრულწლოვნისათვის მშობლების განქორწინება იყო განსაკუთრებით სტრესული; ამასთან, იგი იყო მოწმე მშობლებს შორის მწვავე კონფლიქტების. მშობლების განქორწინების შემდეგ მამასთან ერთად განაგრძო ცხოვრება, რომელიც დედის თქმით არ არის პროსოციალური ქცევების მოდელის მქონე, ვინაიდან მუდმივად მოიხმარს ალკოჰოლს და შვილს არ აქცევს სათანადო ყურადღებას. საინტერესოა, რომ თავად არასრულწლოვანს ორივე მშობელთან პოზიტიური ურთიერთობა აქვს, იჩენს მათ მიმართ პატივისცემას და სიყვარულით საუბრობს მათზე, მამას ახასიათებს მეგობრად და ემოციურ მხარდამჭერად.[62]

განაჩენში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანი იმყოფება ქორწინებაში, თუმცაღა მისი დამოკიდებულება მის მიერ შექმნილი ოჯახის მიმართ გაურკვეველია. მართალია იგი მეუღლეს მოიხსენიებს პოზიტიურ სტიმულად მის ცხოვრებაში, თუმცაღა არასრულწლოვანების ფაქტი და ასევე მისი პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნა რისკის შემცველია მათი ურთიერთობისათვის. თავად მეუღლის ინფორმაციით მას მეუღლესთან ახლო ემოციური კავშირი შენარჩუნებული აქვს და სამომავლო გეგმები მასთან თანაცხოვრებას უკავშირდება პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ.[63]

4.1.4. სკოლა, სწავლა და სამსახური

